

პროექტის განმარტება

პროექტი № NV-12/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მუხიანის დასახლებაში, მე-2-ე მ/რ, კორპუსი №4-ის 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული ძალოვანი კაბელის შეცვლას 4 წვერიანი კაბელით.

9 სართულიანი 6 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის მე-4-ე სადარბაზოს შესასვლელის გარე კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადა, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება კიბის უჯრედებში დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები.

გაითხაროს საკაბელო ტრანში ს/ჯ № 9025-დან კორპ. № 4-ის მიმართულებით შიდა კვარტალური სამანქანო გზის გვერდით გრუნტში, ამავე გზის გადაკვეთაში, კორპუსის ეზოში არსებულ გაზონზე და სადარბაზოებში შესასვლელ ასფალტირებულ სავალ გზაზე, მოეწყოს საკაბელო ბაღიში წვერილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი ABBF1(4*150)MM2 კვეთის, მიყვაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. გზის გვერდით გრუნტში და გაზონზე დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს.

ს/ჯ № 9025-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში და საცხოვრებელი სახლის მე-4-ე სადარბაზოსთან არსებულ ძალ. გამანაწ. კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელი, ახალ ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქურობები და შეერთდეს გამოხსნილი ძველი კაბელის ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №4-ის მეოთხე სადარბაზოთან დადგმული ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე.

ძალოვანი კაბელის ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პრ-ბი № NV-12/18	
ფ.№	ფრ.
2	4